ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N08

2021 წლის 29 იანვარი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (მ.ქათამაძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით, ქ.ქობულეთში, მ.აბაშიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ 4585,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 226.0 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 20.42.08.500), სარეკლამო კომპანიის ოფისის განთავსების მიზნით ფ/პ ვახტანგ აბაშიძეს;

2. ქ.ქობულეთში, მ.აბაშიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ 4585,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.08.500) 226.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის წლიური საწყისი საიჯარო საფასური განისაზღვროს 2260 (ორი ათას ორას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი